საინფორმაციო ბუკლეტი №164 სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ

ივნისი 2013

ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (იურისდიქციის გადაცემა) – 29750/09
Hassan v. the United Kingdom (relinquishment)

მუხლი 1

სახელმწიფოთა იურისდიქცია

ტერიტორიული იურისდიქცია ერაყში განლაგებული კოალიციის შეიარაღებული ძალების მიერ ერაყის მოქალაქეთა დაკავებასთან დაკავშირებით: *იურისდიქციის დათმობა დიდი პალატის სასარგებლოდ*

2003 წლის მარტში, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით კოალიციის შეიარაღებული ძალების ერაყში შეჭრამდე, მომჩივანი იყო ბა'ატჰის პარტიის (*Ba'ath Party*) ეროვნული სამდივნოს მთავარი მენეჯერი და ბა'ატჰის პარტიის კერძო არმიის ელ ქუდსის (*El Quds*) გენერალი. იგი ცხოვრობდა ბასრაჰის (*Basrah*) რეგიონის საპორტო ქალაქ უმ ქასრში (*Umm Qasr*). 2003 წლის აპრილში, ბრიტანეთის არმიის მიერ ბასრაჰის ოკუპაციის შემდეგ, დააკავეს მომჩივნის ძმა. მომჩივანის განცხადებით, ამის მიზანს წარმოადგენდა მისი იძულება, ჩაბარებოდა სამართალდამცავ ორგანოებს, რადგან იგი იძებნებოდა ბა'ატჰის პარტიასთან კავშირის გამო. მოპასუხე სახელმწიფო უარყოფდა აღნიშნულს და აცხადებდა, რომ ეს იყო შეცდომით იდენტიფიცირების შემთხვევა. მომჩივანის ძმა გაერთიანებული სამეფოს შეიარაღებულმა ძალებმა მოგვიანებით გადაიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის ფუნქციონირებად დაწესებულებაში, ბუკას (*Bucca*) ბანაკში, რომლის ნაწილსაც პატიმართა დაკავებისა და დაკითხვისთვის იყენებდა აგრეთვე გაერთიანებული სამეფოც. გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოთა მიერ დაკითხვის შემდეგ, მომჩივანის ძმა არ აღმოჩნდა დაზვერვისათვის სასარგებლო ინფორმაციის მატარებელი და შესაბამისი ჩანაწერების მიხედვით, 2003 წლის 12 მაისს იგი გაათავისუფლეს. მომჩივანის განცხადებით, ოჯახს არ ჰქონია არანაირი ინფორმაცია მისი ძმის შესახებ 2003 წლის სექტემბრის დასაწყისამდე, როდესაც მისი გვამი აღმოაჩინეს 700 კილომეტრის მოშორებით.

2007 წელს მომჩივანმა სარჩელი შეიტანა ინგლისის ადმინისტრაციის დაქვემდებარებულ სასამართლოში, რომელმაც აღნიშნული სარჩელი დაუშვებლად სცნო მას შემდეგ რაც დაადგინა, რომ ბუკას ბანაკი

წარმოადგენდა არა გაერთიანებული სამეფოს, არამედ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაწესებულებას.

ევროპული სასამართლოსადმი თავის მიმართვაში, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი ძმა დააკავა ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა ერაყში, ხოლო შემდგომში იგი აუხსნელ გარემოებებში გარდაცვლილი იპოვეს. მომჩივანი ეფუძნება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებს და აცხადებს, რომ დაკავება და პატიმრობა, რომელიც განხორციელდა პროცედურული გარანტიების დაუცველად, იყო თვითნებური და უკანონო. აგრეთვე, კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე იგი ჩიოდა, რომ გაერთიანებული სამეფოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს გამოძიების ჩატარება დაკავების, არასათანადო მოპყრობის და სიკვდილის გარემოებების დასადგენად.

(იხილეთ აგრეთვე, *Al-Skeini and Others v. the United Kingdom* [GC], 55721/07, და *Al-Jedda v. the United Kingdom* [GC], 27021/08, ორივე გადაწყვეტილება მიღებულია 2011 წლის 7 ივლისს, საინფორმაციო ბუკლეტი № 143)

©ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული წინამდებარე მოკლე მიმოხილვა
სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო

სასამართლო პრაქტიკის საინფორმაციო ბროშურები იხილეთ აქ